




# საქართველო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ლ ე ლ ო

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов



## სპორტის ფიქსა...

**მოსკოვი.** (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირში, ამერიკაში და ალბათ, მთელს მსოფლიოშიც ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მატჩი ორიოდე შესწორებას მაინც შეიტანდა მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ამას ისინი სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომებში ვარაუდობდნენ ძირითადად, მაგრამ პირველივე დღის შეხვედრათა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა.

მხოლოდ ოთხ საათს გავრძელდა პირველი დღის პროგრამა და 16 სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულნი, რომელთაგან ოთხის მაჩვენებელი მსოფლიო რეკორდს უდრის ან აღემატება, დამყარებულ იქნა სამი ევროპისა და ერთი საკავშირო რეკორდი.

მოსკოველ მაყურებლებს პირველი სიმოწევა განაცდევინეს 100 მ მორბენალმა ქალებმა. ვ. რუდოლფმა (აშშ), რომელმაც რომის ოლიმპიადებზე დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 11,3, ზუსტად იგივე შედეგი გაიმეორა ამჯერადაც და 0,2 წამით მიახწრო ფინიშზე მ. იტკინას, შესაბამისად დაეჯდა მ. მასლოვსკიამ — 11,6. ამერიკელების უპირატესობა უფრო იყო ვაჟთა შორის ვეპლახე მოკლე დისტანციებზე რბენაშიც, სადაც გამარჯვება მოიპოვა ფ. ბრაბმა — 10,3.

ამერიკელებს ეცუთვნოდათ მსოფლიო რეკორდი ესტაფეტაში 4x100 მეტრზე ვაჟთა შორის და 39,5 წამს უდრიდა, ამჯერად, ორთაბრძოლაში ეს შედეგი ორივე გუნდმა აპოშალა მსოფლიო რეკორდების ცხრილიდან. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მას 0,1 წამი ჩამოაჭრა, მაგრამ მხოლოდ საკავშირო და ევროპის რეკორდის დამყარებით დაკმაყოფილდა—39,4, რადგან ფინიშზე პირველები ამერიკელები მივიდნენ — 39,1 წამი (ახალი მსოფლიო რეკორდი).

ვაეებს არც ქალები ჩამორჩნენ. ამავე დისტანციაზე ვ. კრეპკინა, მ. მასლოვსკიამ, მ. იტკინამ და ტ. შნელკანოვამ ესტაფეტა ფინიშზე მიიტანეს 44,5 წამის მეტე, რაც ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ახალი რეკორდია, ამერიკელებმა მეოთხე ეტაპზე თავიანთი მხსნელი

ვ. რუდოლფი გამოიყენეს, არ დაჯერდნენ ნაციონალურ რეკორდს, აჩვენეს ისეთი დრო, როგორც დღემდე მსოფლიოში არავის უჩვენებია — 44,3 წ და მსოფლიო რეკორდი 0,1 წამით გააუმჯობესეს.

მსოფლიო რეკორდების დამყარებაში არც საბჭოთა სპორტსმენები დარჩნენ ვალში. შეჯიბრების წინა დღეს მოსკოვის კინოფსტალზე შეხვედრით რომის ოლიმპიადის ჩემპიონს თ. პრესს, იგი ცნობილ მოციგურე რ. კუკოვას ესაუბრებოდა, საუბრის საგანს კი „საუკუნის მატჩი“ შეადგენდა. საუბარში ჩავერიეთ, ვკითხეთ: როგორ ხვდებით ხვალინდელ დღეს, რას აპირებთ? „გამარჯვებას და კიდევ“... აღარ დაამთავრა. უთქმელადაც მიხვდით. და როცა ბადროს მტყორცნელი ქალები სექტორთან მოგროვდნენ, თამარის სახე გამარჯვების რწმენით იყო გაშუქებული და შედეგი კი უფრო მეტი აღმოჩნდა. მან ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 43 სანტიმეტრზე. ეს მაჩვენებელი 28 სანტიმეტრით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს.

მოსკოვის ცენტრალური სტადიონი, რომელიც სავეს იყო მაყურებლებით, არ დაცილა პირველი დღის უკანასკნელ სტარტამდე. მძლეოსნობის მოყვარულებმა ამ დღეს კიდევ არა ერთი შესანიშნავი გამარჯვება ნახეს, როცა ი. ზაზაროვმა პირველმა დაამთავრა 10.000 მეტრზე რბენა—29.39,4, ვ. რუდენკოვმა ურო ტყორცნა 66 მ 34 სმ-ზე და პირველი ადგილი გაინაღდა, ტ. ჩენიკმა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში დააღლია 175 სმ, რითაც მიუწვდომელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეთა თვის, ე. ოზოლინამ კი ქალთა შორის შუბის ტყორცნაში დაიმკვიდრა უძლიერესის სახელი — 54 მ 49 სმ.

8 ქულა მოუტანეს საბჭოთა გუნდს ვაეებმა საშტომში, როცა ვ. კრეერმა (16.68 მ) და ა. ფედოსეევმა (16.06 მ) პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს. ამ დღეს ამერიკელთაგან გამარჯვეს: 400 მ რბენაში (ვაეები) ვ. უილიამსმა — 46,7 წ. კოკით ხტომაში — ჯ. უელდფორდი — 4,69 მ და სხვ.

## ერთი გოლის ისტორია

თქვენს წინაშეა ერთ-ერთი საინტერესო მომენტი განვლილი მატჩიდან: „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). ესაა შესაბამისი გოლი მოსკოველთა კარში.

კალთვემა (იგი კადრს გარეა) თავით გაგზავნა ბურთი კარისაკენ. მეკარე გლუხოტკო ამ მომენტში წინ იყო გამოსული და მისი მოვალეობის შესრულება ნახევარმცველმა მანოშინმა იცისრა. იგი ნახტომში ხელით იგერიებს ბურთს. აშკრა პენალტია!

მაგრამ მსაჯს არ მოუხდა 11-მეტრიანი საჯარომოს დანიშვნა, თუცა მე-3 სურათზე ბარქაია ხელის აწევით ანიშნებს მას მანოშინის დარღვევის შესახებ. აქვე ჩანს კალთვეა, რომელიც მიწაზე აღმოჩნდა ამ დაძაბული მომენტის შემდეგ.

მე-4 სურათზე ნაჩვენებია, თუ როგორ ვადის ბურთზე დათუნაშვილი. მაგრამ საბრძოლველად ემზადება გლუხოტკოც. ვინ მოასწრებს? შემდგომ სურათზე ნათლად ჩანს, რომ ბრძოლა ბურთისათვის მთავრდება თავდამსხმელის სასარგებლოდ. მან ზუსტად დაარტყა და მეკარის ნახტომი აპო გამოდგა: ბურთი გავიდა კარში და ანგარიშიც გათანაბრდა—3:3. მსაჯს არ დაჭირდა 11-მეტრიანი საჯარომოს დანიშვნა.

ფოტო მ. ზარგარაინისა.



## ბათუმაშუაზის ცხრილები I კვატრანტი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.

ფიზკ. ინსტ.					
თბილისი	15	9	4	2	34:17 22
„სიხარული“					
მახარაძე	14	9	3	2	42:19 21
„მეშახტე“					
ტიბულე	15	8	5	2	38:16 21
„განთიადი“					
ბათუმი	15	8	4	3	27:20 20
„ამერეთი“					
ქუთაისი	15	6	7	2	29:17 19
სკა					
თბილისი	15	7	4	4	30:17 18
„შუქურა“					
ქობულეთი	15	7	4	4	32:23 18
„მლარაოლი“					
ქიათურა	14	6	3	6	26:26 15
„ბანშარო“					
ჩოხატაური	14	5	3	6	21:37 13
„კოლხიდა“					
ზობი	15	2	7	6	22:24 11
„კოლმეურნე“					
თელავი	15	2	6	7	29:46 10
„მეჭანიშატორი“					
ალიგენი	15	3	3	9	21:35 9
„სალხინო“					
გეგეჭკორი	15	3	2	10	20:46 8
„დინამო“					
სიხტუმი	15	0	3	12	14:42 3

## II კვატრანტი

თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.

„გურია“					
ლანჩხუთი	15	13	0	2	42:21 26
„მესხეთი“					
ახალციხე	15	8	4	3	37:17 20
„სპარტაკი“					
სტალინირი	15	8	2	5	21:21 18
„განთიადი“					
სტაია	15	8	2	5	26:29 18
„ლოკომოტივი“					
სამტრედია	15	7	3	5	29:23 17
„ფეიქარი“					
წულეუცი	15	7	3	5	26:28 17
„ოლიში“					
ზუგდიდი	15	6	3	6	23:23 15
„შენებელი“					
ქუთაისი	15	5	5	5	19:23 15
„მეზღვაური“					
ფოთი	15	5	4	5	16:16 14
„დილა“					
გორი	15	5	2	8	22:20 12
„სპარტაკი“					
თბილისი	15	4	4	7	15:21 12
„დურუჯი“					
ყვარელი	15	4	3	8	20:30 11
„ისანი“					
თბილისი	15	3	2	10	22:39 8
„სპარტაკი“					
რუსთავი	15	1	5	9	16:31 7

## სტუმრებმა გაიმარჯვეს.

გუშინ თბილისში, სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო შეხვედრა ფრენბურთში ჩეხოსლოვაკიისა და თბილისის „ბურკვესტნიკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

ჩეხოსლოვაკელთა გუნდებმა, რომლებიც დაკომპლექტებულია ძირითადად მათი ქვეყნის ნაკრებში შემავალი სპორტსმენებით, მოიგეს როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შეხვედრები შესაბამისად — 3:1 და 3:0.



14 ივლისს შედგა პირველი წრის ბოლო ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის.

ზონის ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი“ თამაშობდა ქ. ბენ-

# „ბ“ კლასში

დერში ადგილობრივი „ნისტრულის“ წინააღმდეგ. თბილისელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 3:1.

მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა შეხვედრა ბათუმში ადგილობრივ „დინამოსა“ და კიროვკანის „ლორს“ შორის. ბათუმელებმა ინიციატივა აიღეს დაწვებიდანვე, მაგრამ თავდასხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდე-

ნიმე კარგი შესაძლებლობა. შემდგომში სტუმრებმა თამაში გაათანაბრეს და მილე წარმატებასაც მიიღწიეს. ტაიმი დამთავრდა „ლორის“ სასარგებლოდ — 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელები კვლავ განაგრძობდნენ იერიშებს, რაც დამთავრდა პატარაის მიერ გატანილი სავსუსხო გოლით. ეს ანგარიში — 1:1 მატჩის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

სოხუმის „რიწამ“ მატჩი ჩაატარა ლენინკანში ადგილობრივი „შირაქის“ წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს ლენინკანელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2.

## სამი პრიზი ქართველ ფეხბურთელებს

**შოსტაბ.** მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ზონალური შეჯიბრების ბოლო ტურში თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა ქ. სუმის კოლექტივი და 12 ქულით 12 შესაძლებელიდან დაიკავა პირველი ადგილი. თბილისელებმა ფეხბურთელებმა მიიღეს ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება, რომელიც შედგება ქ. კრასნოდონში.

ტურიში დაწესებული იყო სამი პრიზი საუკეთესო მეკარის, საუკეთესო მცველისა და ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისათვის. სამივე პრიზი მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა: მეკარე ქვათაძემ, მცველმა ონიანმა და თავდასხმეულმა ელისაშვილმა.

**ბ. ბაბანიძე,  
ჩენი ხბეც. კორ.**

# 48:1

დამთავრდა საქართველოს პირველობა წყალბურთში. „ბურვეს-ტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მონაწილეობის გამო ჩვენმა ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა — დედაქალაქის სტუდენტთა გუნდმა რესპუბლიკურ ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღო, რამაც ნაწილობრივ შეაწინააღმდეგა ინტერესი პირველობისადმი.

„დინამოს“ ოსტატთა გუნდმა უკვე შეხვედრა იოლად მოიგო და ბურთების საერთო შეფარდებით — 48:1 რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა.

ბრძოლა ძირითადად მეორე ადგილისათვის მიმდინარეობდა თბილისის „განთიადის“, „ლოკომოტივისა“ და განთიადების სამი ნისტროს მოსწავლეთა ნაკრებს შორის. ამ სამეულში უძლიერესი აღმოჩნდა „განთიადის“ გუნდი, რომელსაც სათავეში ედგა სპორტის ოსტატი პოტაპოვი. მას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ განთიადების სამი ნისტროს მოსწავლეთა გუნდმა, პირველობის დანარჩენი მონაწილეები შეჯიბრებისათვის სუსტად მომზადებული აღმოჩნდნენ და დი-

დი ანგარიშით დამარცხდნენ როგორც ჩემპიონთან, ისე მეორე ადგილზე გამოსულ „განთიადთან“. ძალთა ასეთი განსხვავების გამო შეჯიბრებამ სპორტული ინტერესი დაკარგა. ამასთან, ზოგიერთი მოთამაშის უმსგავსო საქციელის გამო ჩემპიონატი სრულიდ გაუფერულდა. უმსგავსო საქციელი ჩაიღია „ლოკომოტივის“ მოთამაშემ დ. იაშვილმა მოსწავლეთა გუნდთან შეხვედრის დროს. მან დაივიწყა მაყურებლის, მოწინააღმდეგისა და თანაგუნდელთა პატივისცემა და შეხვედრის პირველ პერიოდში გინებით გაუმასპინძლა თანაგუნდელს. ეს უხაზო საქციელი გუნდს ძვირად დაუჯდა.

შეჯიბრების მსაჯმა იაშვილი თამაშის ბოლომდე აუზიდან გააძევა. შეჯიბრების ბოლოს მსაჯთა კოლეჯიმ იმსჯელა იაშვილის საქციელზე და დისკვალიფიკაცია მისცა მას გათამაშების ბოლომდე.

კარგი მომზადება გამოავლინეს და სასაიმოვნო შთაბეჭდილება დატოვეს კონკურსგარეშე მონაწილე ქაბუკმა წყალბურთელებმა, მათ მხოლოდ ორი დამარცხება გაიცა და მესამე პრიზიორზე — „ლოკომოტივზე“ წინ აღმოჩნდნენ.

**ბ. ბაბანიძე**



ბათუმში დამთავრდა **დინამოს**-ის რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები წყალბურთში. უძლიერესი ხახელი მოიპოვა ა. ფიშენკომ (აჭარა).

**სურათში:** ა. ფიშენკო ემზადება შეჯიბრებისათვის.  
**ფოტო ბ. კეზაბიანიხა.**



## ბათიაშვილის XV ტური

სავსებით შესაბამეა ძალთა შეფარდებას მინდორზე.

**სოხუმის** დინამოელებმა კარგად დაიწყეს თამაში თელავის „კოლმეურნის“ წინააღმდეგ და ტაიმი დამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ ანგარიშით 2:0, მაგრამ მათ შემდგომში ვერ შეინარჩუნეს ეს უპირატესობა და თელაველებმა ფეხბურთელებმა გაქვითეს ორივე გოლი — 2:2. უნდა აღინიშნოს, რომ „კოლმეურნის“ წევრებს შორის სათანადო სიმძლავრე არ დგას დისციპლინა. აღნიშნულ მატჩში გუნდის მოთამაშე ჩიკვაძე გაძევებულ იქნა მინდორიდან, ხოლო ბალარჯიშვილს მიეცა გაფრთხილება.

**დაბაბულ** ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში ზუგდიდში ადგილობრივ „ოლიშის“ და ქუთაისის „მშენებელს“ შორის. მიუხედავად რამდენიმე შესაძლებლობისა ორივე გუნდის კართან, მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

**მატაღ** მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია ახალციხის „მესხეთმა“ წულუკიძის „ფიქართან“ შეხვედრაში — 1:0.

**თბილისის** სპარტაკელებმა მიიღეს სტალინის თანაკლებელთა გუნდი. ანგარიშით 3:1 გაამარჯვა სტალინის „სპარტაკმა“.

**ლანჩხუთის** „გურიამ“ თავის მინდორზე დაამარცხა ფოთის „მეზღვეურის“ ანგარიშით 3:1.

## მოზარდთა შეჯიბრება

გორში დასასრულს უახლოვდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ზონალური შეჯიბრება. ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიმწვავეთ ხასიათდება ბრძოლა ნახევარფინალურ ტურნირში გასვლისათვის. მართალია, ლიდერები ჯერჯერობით ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს, მაგრამ მათ სულ უფრო უძნელდებათ ბრძოლა აუტსაიდერებთანაც კი.

IV ტურში ბათუმის დინამოელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი არმაზის გუნდთან და დაამარცხეს იგი ანგარიშით 4:0, სამაგიეროდ, ქუთაისის „ტორპედომ“ დაკარგა ერთი ქულა კიროვკანის „ლორთან“ შეხვედრაში — 1:1, ხოლო ლენინკანის „შირაქმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო ერევნის „ნაირის“.

დაბაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ქუთაისისა და ბათუმის გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1.

VI ტურისათვის ქუთაითა თანაბარი რაოდენობა აღმოჩნდათ ქუთაისის, ბათუმისა და როსტოვის გუნდებს. ბათუმელებს ამ დღეს მეტად სახიფათო მოწინააღმდეგე ჰყავდათ ლენინკანის „შირაქის“ სახით. შეხვედრა დამთავრდა ბა-



ბათუმისა და ბათუმის გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1.

**ბ. ბაბანიძე,  
ჩენი ხბეც. კორ.**

## სსრ კავშირის თასზე

გუმის ქუთაისში, ადგილობრივი „ტორპედო“ საბჭოთა კავშირის თასზე გამართულ მატჩში შეხვედრა ჩერკასკის „კოლგოსნიკს“, ქუთაისელებმა დაბალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და დამარცხდნენ — 0:1.

ბრძოლის შემდეგ გამარჯვება დარჩათ ცხაკაიელებს — 2:1.

**თბილისის** „ისანმა“ თავის მინდორზე მოიპოვა გამარჯვება ყვარლის „დურუჯთან“ შეხვედრაში. ანგარიში 1:0.

12 ივლისს შედგა კიდევ 3 მატჩი.

**ბათიაშვილი** ერთმანეთს შეხვედნენ I ქვეჯგუფის ლიდერები — ადგილობრივი „მეზახტე“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, ლიდერებმა საინტერესოდ ჩაატარეს იგი — 1:1.

**პიათურის** „მალაროელმა“ საკუთარ მინდორზე კარგად ითამაშა სოხუმის „დინამოს“ წინააღმდეგ და დაამარცხა იგი ანგარიშით 4:2.

**ახალციხის** „მესხეთი“ ამ დღეს თამაშობდა ფოთში ადგილობრივი „მეზღვეურის“ წინააღმდეგ. სტუმრებმა აჩვენეს შეთანხმებული, კოლექტიური თამაში და მოიგეს მატჩი ანგარიშით 4:0.

დაიწყო საქართველოს ზონალური პირველობა ფეხბურთში, სადაც მონაწილეობენ რაიონებისა და ქალაქების პირველობებში საპრიზო ადგილებზე გამოსული კოლექტივების გუნდები. მონაწილეონი დაყოფილი არიან რვა ზონალ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები.

ადგ. მრეწ. კომბ. (თეთრიწყარო)-ახალგაზრდობა (ბოლნისი)—1:0, იდგ. მეურნ. კომბ. (მცხეთა)-მარნეული — 2:0, „არაგვი“ (დუშეთი)-„უღელტეხილი“ (ხაშური) — 3:2, „ციკა“ (თერჯოლა)-„მშენებელი“ (მთიანეთი) — 0:0, „მოლინაზე“ (სახხერე)-„მშენებელი“ (ჭიათურა) — 1:0, „განთიადი“ (ზესტაფონი)-„ტორპედო“ (ვანი) — 1:1.

„ჩანჩქერი“ (ლაგოდეხი)-„გარსკვლავი“ (წითელწყარო) — 3:1, „შირაქი“ (წითელწყარო)-„კახეთი“ (გურჯაანი) — 2:1, „ახალგაზრდობა“ (ბოლნისი)-ადგ. მეურნ. კომბ. (მცხეთა) — 3:0, მარნეული-„მშენებელი“ (რუსთავი) — 4:3, „განთიადი“ (კასპი)-„არაგვი“ (დუშეთი)—5:1, „უღელტეხილი“ (ხა-

შური)-„იორი“ (თიანეთი) — 1:0, „განთიადი“ (ბორჯომი)-„ქართლი“ (გორი) — 4:1, მექ. ქარხანა (აბაშა)-პილოტ მექ. ქარხანა (ფოთი) — 4:1, „სპარტაკი“ (მახარაძე)-„ლაითური“ (მახარაძე) — 2:1, „ალი“ (დიდი ჭიხაში)-„განთიადი“ (სამტრედია) — 1:4, ჩაისუბანი (ჩოხატაური)-„განთიადი“ (ლანჩხუთი) — 1:5, ჩაის ფაბრიკა № 1 (წალენჯიხა)-„სამეგრელო“ (ზუგდიდი) — 0:3, „მერცხალი“ (ზუგდიდი)-„სპარტაკი“ (ცხაკაია) — 2:2, სტალინის სახ. კოლმ. (ხობი)-ლეკინის ჩაის მეურნეობა (ჩხოროწყუ) — 2:1, „ხვამლი“ (ცაგერი)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 1:2, „მშენებელი“ (მათკობისკი)-„მოლინაზე“ (სახხერე) — 2:2, „მშენებელი“ (ჭიათურა)-„განთიადი“ (ზესტაფონი) — 0:2, „ტორპედო“ (ვანი)-„ციცქა“ (თერჯოლა) — 0:0.

„ვარსკვლავი“ (წითელწყარო)-„შირაქი“ (წითელწყარო) — 1:2, „კახეთი“ (გურჯაანი)-„ზახტორნი“ (ახმეტა)—3:2, ადგ. მეურნ. კომბ. (მცხეთა)-ადგ. მრეწ. კომბ. (თეთრიწყარო)—2:2, „მშენებელი“ (რუსთავი)-„ახალგაზრდობა“ (ბოლნისი) — 1:1, „ჯავახეთი“ (დმანისი)-მარნეული — 1:2, „არაგვი“ (დუშეთი)-„ქართლი“ (გორი) — 3:3, „იორი“ (თიანეთი)-„განთიადი“ (კასპი) — 0:3, „უღელტეხილი“ (ხაშური)-„განთიადი“ (ბორჯომი) — 0:0, „განთიადი“ (ლანჩხუთი) მექ. ქარხანა (აბაშა) — 7:2, პილოტ მექ. ქარხანა (ფოთი)-„ლაითური“ (მახარაძე) — 1:0, „სპარტაკი“ (მახარაძე)-„ალი“ (დიდი ჭიხაში) — 5:2, „განთიადი“ (სამტრედია)-ჩაისუბანი (ჩოხატაური) — 5:1, „სამეგრელო“ (ზუგდიდი)-„მერცხალი“ (ზუგდიდი) — 9:0, „სპარტაკი“ (ცხაკაია)-სტალინის სახ. კოლმეურნეობა (ხობი) — 5:2, ლესეცინის ჩაის მეურნეობა (ჩხოროწყუ)-„განთიადი“ (ზუგდიდი) — 0:0, „კოლმეურნეობა“ (ამბროლაური)-„ხვამლი“ (ცაგერი) — 2:2, ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-საქგუმბრანი (წყალტუბო) — 5:1, „განთიადი“ (ზესტაფონი)-„მშენებელი“ (მათკობისკი) — 4:1, „მშენებელი“ (ჭიათურა)-„ტორპედო“ (ვანი) — 0:2.

**ოლიმპიადის  
საუკეთესო  
ფეხბურთელი**

როგორც ცნობილია, რომის ოლიმპიური თამაშების ფეხბურთელთა ტურნირში გამარჯვება იუგოსლაველებს დარჩა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ იქნა არგენტინელი ცენტრფორვარდი დესიდერო.

საშობლოში დაბრუნების შემდეგ დესიდერომ არ მოისურვა პროფესიონალთა კლუბებში თამაში და ისევ მოყვარულად დარჩა, თუმცა მას მოსვენებას არ აძლევდნენ ფეხბურთელებით მოვაჭრენი. პოლონური გაზეთი „სპორტი“ იუწყება, რომ დესიდერომ მაინც ვერ გაუძლო ციხუნების და დათანხმდა იტალიის პირველი ლიგის კლუბ „კატანიამ“ ეთამაშა 12 მილიონი ლირის მიღების შემდეგ. მაგრამ როცა სეზონი დამთავრდა, არგენტინელმა ფეხბურთელმა აღარ განაახლა ხელშეკრულება და დაბრუნდა საშობლოში.



**„პენიაროლი“  
„გენფიკა“**

როგორც პოლონური გაზეთი „სპორტი“ იუწყება, მიღწეულია შეთანხმება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „პენიაროლს“ (ურუგვაი) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „გენფიკას“ (იტალია) შორის.

პიონთა თასის მფლობელ „პენიაროლი“ (პორტუგალია) შორის ორი თამაშის ჩატარების შედეგად მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო გუნდის გამოსავლინებლად. პირველი მატჩი მოწყობა ლისაბონში 4 სექტემბერს, ხოლო საბოლოო შეხვედრა — მონტევიდეოში 9 ან 10 სექტემბერს, როგორც ცნობილია, ასეთი საკონტინენტთაშორისო მატჩები ეწყობა გასული წლიდან. შარშან ერთმანეთს შეხვდნენ იგივე „პენიაროლი“ და მადრიდის „რეალი“, ორი შეხვედრის შედეგად გამარჯვა „რეალი“.


**ახალი მსოფლიო  
ჩემპიონი**

უკანასკნელ ხანებში ქალისნობის მსოფლიო არჩენა უამრავად მეტად მრავალსაღმრთელი სპორტის — ნაიჩული სტუდენტის — მიხედვით — შედეგები უზარადად მეტყველებდა იმაზე, რომ იაპონელს განზრახული აქვს მოხსნას ცნობილი პოლონელი სპორტსმენის მ. ზელინსკის მსოფლიო რეკორდი ატაცში. როგორც ცნობილია, ეს რეკორდი უდრიდა 113,5 კილოგრამს. ამას წინათ მიიკემ ერთი კილოგრამით გააუმჯობესა ეს რეკორდი. ახლახანს ცნობილი გახდა, რომ მან მიადგინა ახალ წარმატებას, აიტაცა 115,5 კგ და კიდევ ერთი შესწორება შეიძლება მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

**ნორგასტივენი  
გელგრაღუი  
ნასკლისათვის**

მკვლევანობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომიტეტმა (იაფ) განიხილა 1962 წელს ევროპის პირველობის მომზადებისა და ჩატარების საკითხები და მიიღო სათანადო დადგენილება. კომიტეტმა შეგიბრების მონაწილე ყველა სახელმწიფოს ნება დართო ქალთა პირველობის ყველა სახეობაში გამოიყვანონ 3-3 სპორტსმენი (ესტაფეტაში ერთი გუნდი), ხოლო ვაჟთა შეგიბრებაში ერთი სპორტსმენი, რა შედეგაც არ უნდა ჰქონდეს მას. პირველობის მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ ვაჟთა შეგიბრებაზე გამოიყვანონ მეორე და მესამე სპორტსმენი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აჩვენებენ კომიტეტის მიერ დადგენულ შედეგებს:

- 100 მეტრზე რბენაში — 10,5
- 200 მეტრზე — 21,3
- 400 მეტრზე — 47,5
- 800 მეტრზე — 1.49,4
- 1500 მეტრზე — 3.44,0
- 5.000 მეტრზე — 14.10,0
- 10.000 მეტრზე — 30.40,0
- 110 მეტრზე თარგობენში — 14,6
- 400 მეტრზე თარგობენში — 52,2
- 3.000 მეტრზე წინაღობები — 8.54,0
- სიმაღლეზე ხტობაში — 203 სმ
- სიგრძეზე ხტობაში — 7,50 მ
- სახტომში — 15,50 მ
- ჭოკით ხტობაში — 4,40 მ
- ბირთვის კვრაში — 17 მ
- ბადროს ტყორცნაში — 53 მ
- შუბის ტყორცნაში — 75 მ
- უროს ტყორცნაში — 62 მ
- ათქიღმა — 6.800 ქულა.



ქუთაისში, კერძოდ, მოსწავლეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს მხატვრული ტანვარჯიში, რომლის ჩაუფლებიც ჩამოყალიბებულია ბავშვთა სპორტულ სკოლასთან.

ნუცლია ისეთი პროგრესი ბოლო ხანებში, როგორც ქალისნობის მსოფლიო რეკორდების ცხრილი გასათვარი სისწრაფით იცვლება და სიმძიმეების აწევის საერთაშორისო ფედერაციის გამუდმებით აქვს სამუშაო — განუწყვეტლივ მოიძის ცნობები ახალი რეკორდების რეგისტრაციისათვის.

არა ჰყავთ და ამიტომ ინტერესმთქვნი არ იქნება ვადავხდით ამ ორი „რეკინის გუნდის“ შეხვედრათა ისტორიას. აშშ-ს და სსრ კავშირის შტანგისტთა პირველი „შეტაკება“ მოხდა 1946 წელს პარიზში. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატზე. მაშინ ჩემპიონობა მოიპოვეს ამერიკელებმა, ხოლო საბჭოთა გუნდი დარჩა მეორე ადგილზე.

ლი დამარცხება მიიყენეს ამერიკელებს, ხოლო ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში მათ მოიპოვეს საერთო პირველი ადგილი და 4 ოქროს მედალი. მას შემდეგ ამ ორი ქვეყნის შტანგისტები რეგულარულად ხედებიან ერთმანეთს არა მარტო ოლიმპიურ თამაშებში და მსოფლიო ჩემპიონატებზე, არამედ ტრადიციულ მატჩშიც — სსრ კავშირი — აშშ. ერთადერთ გამარჯვებას ამერიკელებმა მოაღწიეს მელბურნის ოლიმპიადებზე, დანარჩენი შეხვედრები უცვლელად მთავრდებოდა საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

**„რკინის გუნდები“ თბილისში**

ვალ ქვეყანას ჰყავს, საერთო პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად წარმოებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის. რამდენადაც მაინც სერიოზული პრეტენდენტები მათ

პარიზის ჩემპიონატის მოყოლებული 6 წლის განმავლობაში ამერიკელები სისტემატურად იმარჯვებდნენ თავიანთ ძირითად მეტოქეებთან ბრძოლაში, მაგრამ 1953 წელს საბჭოთა ქალისნობა პირვე-

ლი დამარცხება მიიყენეს ამერიკელებს, ხოლო ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში მათ მოიპოვეს საერთო პირველი ადგილი და 4 ოქროს მედალი. მას შემდეგ ამ ორი ქვეყნის შტანგისტები რეგულარულად ხედებიან ერთმანეთს არა მარტო ოლიმპიურ თამაშებში და მსოფლიო ჩემპიონატებზე, არამედ ტრადიციულ მატჩშიც — სსრ კავშირი — აშშ. ერთადერთ გამარჯვებას ამერიკელებმა მოაღწიეს მელბურნის ოლიმპიადებზე, დანარჩენი შეხვედრები უცვლელად მთავრდებოდა საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.


**მსოფლიო ჩემპიონები ქალისნობაში 1961 წლის 5 ივლისისათვის**

ა ზ ი მ ვ ა	ა კ ვ რ ა
ჩრატე წონა — ხ. ულიანოვი (სსრკ) — 112 კგ	მჩატე წონა — ჩენ ცხან-კაი (ჩინეთი) — 139,5 კგ
ქვეშუბუქი — ი. ბერგერი (აშშ) — 121,5 კგ	ქვეშუბუქი — ი. ბერგერი (აშშ) — 148 კგ
მსუბუქი — ვ. კალუნოვი (სსრკ) — 133,5 კგ	მსუბუქი — ა. ფუნეი (სსრკ) — 161,5 კგ
ქვესაშუალო — ფ. ბოვდანოვიცი (სსრკ) — 141 კგ	ქვესაშუალო — ა. კურინოვი (სსრკ) — 170,5 კგ
საშუალო — ტ. კონო (აშშ) — 153,5 კგ	საშუალო — ი. პალინსკი (პოლონეთი) — 180 კგ
ქვემძიმე — ტ. ლოპაინი (სსრკ) — 157 კგ	ქვემძიმე — პალინსკი (პოლონეთი) — 186,5 კგ
მძიმე — პ. ანდერსონი (აშშ) — 186,5 კგ	მძიმე — ი. ვლახოვი (სსრკ) — 205 კგ

ა ტ ა ც ი	ს ა მ შ ი ღ ი
მჩატე წონა — ი. მიიკე (იაპონია) — 107,5 კგ	მჩატე წონა — ვ. სტოგოვი (სსრკ) — 345 კგ
ქვეშუბუქი — ი. მიიკე (იაპონია) — 114,5 კგ	ქვეშუბუქი — ი. ბერგერი (აშშ) — 372,5 კგ
მსუბუქი — ა. ფუნეი (სსრკ) — 127,5 კგ	მსუბუქი — ხ. ლოპაინი (სსრკ) — 407,5 კგ
ქვესაშუალო — ა. კურინოვი (სსრკ) — 135 კგ	ქვესაშუალო — ა. კურინოვი (სსრკ) — 440 კგ
საშუალო — რ. პლიუფელდერი (სსრკ) — 141,5 კგ	საშუალო — ტ. კონო (აშშ) — 460 კგ
ქვემძიმე — ფ. ოსიბა (სსრკ) — 146 კგ	ქვემძიმე — ა. ვორობოვი (სსრკ) — 472,5 კგ
მძიმე — ნ. შემანსკი (აშშ) — 159,5 კგ	მძიმე — ი. ვლახოვი (სსრკ) — 537,5 კგ

**რედაქტორი ი. შპულაპა.**



**დღეს!**

**საბჭოთა სპორტი**

საერთაშორისო  
შეხვედრა  
ჩემოსლოვაკია —  
საპარტველო  
დასაწყისი 19 საათზე.

**18 ივლისი**



საერთაშორისო  
შეხვედრა  
აშშ (ნაერები) —  
სსრკ (ნაერები)  
დასაწყისი 19 საათზე.

**20 ივლისი**

პროფესიონალ  
ჩოგბურთელთა  
გამოსვლა  
მსოფლიო ეას ჩემპიონი  
ჯეკ კრამერის  
(აშშ)  
მონაწილეობით  
დასაწყისი 19 საათზე.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება სპორტის დამსახურებულ ოსტატის ოთარ ქორჭიას დედის სონია ნიკოლოზის ასულ ტყეციშვილი-ქორჭიას გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოთარ ქორჭიას მის დედის სონია ნიკოლოზის ასულ ტყეციშვილი-ქორჭიას გარდაცვალებას გამო.